"გამოწვევა მწვერვალზე" ყაზბეგის მთაზე (3653 მ ზღვის დონიდან) მდებარე მეტეო სადგურზე ტუალეტის აშენება" კონკურსის წესდება

§1 ზოგადი დებულებები

1. "გამოწვევა მწვერვალზე" ყაზბეგის მთაზე (3653 მ ზღვის დონიდან) მდებარე მეტეო სადგურზე ტუალეტის აშენება" კონკურსის, შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კონკურსის", ორგანიზატორი არის ფონდი ICAD, რომლის იურიდიული მისამართია: 40-148 კატოვიცე, იგნაცი დაშინსკიეგო ქ. 23/11, შეტანილი ეროვნული სასამართლო რეესტრში, რომელსაც აწარმოებს კატოვიცეს რაიონული სასამართლოს VIII ეკონომიკური განყოფილება, NIP: 8952028949, REGON: 022374315, შემდგომში მოხსენიებული, როგორც "ორგანიზატორი".
2. კონკურსი ტარდება წინამდებარე წესდებით (შემდგომში „კონკურსის წესდება") დადგენილი პირობების და ზოგადად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.
3. კონკურსი არ წარმოადგენს აზარტულ თამაშს, აზარტული თამაშების შესახებ 2009 წლის 19 ნოემბრის კანონის მნიშვნელობით (საკანონმდებლო მაცნე 201, პუნქტი 1540).
4. კონკურსი ტარდება პოლონეთის რესპუბლიკაში, გასაჯაროვებულია ვებგვერდის https://www.icadfoundation.org და სოციალური მედიების - Facebook, Instagram-ის მეშვეობით.
5. კონკურსი ცხადდება **2024 წლის 15 დეკემბერს** და გაგრძელდება **2025 წლის 24 იანვრამდე ქ. 16:00.**

   კონკურსში მონაწილეობა: გამოგზავნილი პროექტები არ უნდა შეიცავდეს გრაფიკულ ან ჭვირნიშანს. წარმოდგენილი პროექტის ფორმა - თავისუფალი (გეგმები, პროექცია, ფოტოები), უნდა შეიცავდეს 4 ფოტოს/ვიზუალიზაციას. თითოეული ფოტოს ზომა არ უნდა აღემატებოდეს 2 მბ-ს. განაცხადები უნდა გაიგზავნოს მისამართზე: projekt@icadfoundation.org.

   შედეგების გამოცხადდება 2025 წლის 27 იანვარს ICAD Foundation-ის ვებგვერდზე და სოციალურ მედიებში. კონკურსის დასრულების შემდეგ გამარჯვებულ პროექტს შეარჩევს ორგანიზატორის მიერ დანიშნული საკონკურსო კომისია, შემდგომში მოხსენიებული „კომისია".
6. ორგანიზატორის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: +48 505 153 919
7. ორგანიზატორი იტოვებს უფლებას შეცვალოს კონკურსის ვადები და ამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების თარიღი.

§2 პროექტის მახასიათებლები

1. **ზოგადი აღწერა**

   ყაზბეგის მთის მასივში ბეთლემის ქოხის ტერიტორიაზე ტუალეტის მშენებლობის პროექტი ითვალისწინებს სანიტარული შენობის მშენებლობას ორი ტუალეტის კაბინით, წყლისა და ელექტროენერგიის წყაროებთან, სეზონურ შეერთებასთან ერთად და მექანიკური კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას.

თუმცა, თუ კონკურსის მონაწილეს აქვს სხვა, უფრო პრაქტიკული გადაწყვეტილება, რომელსაც წარადგენს, ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ ასეთი წინადადება.

2. **სამშენებლო საკითხები**

ა. ტუალეტის შენობის კონსტრუქცია შედგება ორი ტუალეტის კაბინის, სრული სანიტარული საშუალებების, შესასვლელისა და პირსაბნებით არჭურვილი სააბაზანო ოთახისაგან.

იმ შემთხვევაში, თუ კონკურსის მონაწილე შემოგვთავაზებს სხვა განლაგებას, რომელიც აღმოჩნდება უფრო პრაქტიკული ან ფუნქციონალური, ჩვენ სიამოვნებით განვიხილავთ ამ ალტერნატიულ ვარიანტს.

ბ. ტუალეტის შენობა – აგურის ან ბლოკის ნაგებობა. **იმ შემთხვევაში, თუ კონკურსის მონაწილე შემოგვთავაზებს სხვა გამძლე ტექნოლოგიას, ჩვენ სიამოვნებით განვიხილავთ ასეთ ალტერნატიულ ვარიანტს.**

გ. გამზადებული კონსტრუქციული ელემენტების ასაწყობად ადგილზე ტრანსპორტირება. **კონკურსის მონაწილეთა საყურადღებოდ: დიდი ზომების კონსტრუქციების ტრანსპორტირება შესაძლოა ვერტმფრენით, რადგან ადგილზე მისასვლელი გზა არ არის.**

დ. უნდა შეირჩეს ისეთი სამშენებლო გადაწყვეტილებები, რომელიც უზრუნველყოფს ტუალეტით სარგებლობას ნებისმიერო ამინდის პირობებში (მაგ. ინტენსიური წვიმა, თოვლის დაგროვება, შენობის გახსნის შესაძლებლობით, ელვის საწინააღმდეგო დაცვით და ა.შ.)

ე. საჭიროა მიწისქვეშა კანალიზაციის გამწმენდი მექანიკური ნაგებობის მშენებლობა/აწყობა, რომელიც იმუშავებს ნაკადის კამერებში გრავიტაციული დინების პრინციპით:

- გაწმენდის 1 ეტაპი - 1 დალექვის კამერა ბიოდეგრადირებადი ბიოლოგიური აქტივატორების აერაციის და ხელით დამატების ასევე ნალექის ხელით მოცილების შესაძლებლობით.
- გაწმენდის მე-2 ეტაპი - მე-2 დალექვის კამერა ბიოდეგრადირებადი ბიოლოგიური აქტივატორების აერაციისა და ხელით დამატების ასევე ნალექის ხელით მოცილები.
- გაწმენდის მე-3 ეტაპი - ფილტრაციის კამერა ქვიშის, ხრეშისა და გააქტივებული ნახშირით.
- გაწმენდის IV სტადია - გამონადენის დრენაჟი.

ამავდროულად, გვინდა აღვნიშნოთ, რომ სხვა კონცეფციები და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები მისასალმებელი იქნება და განიხილება ზემოთ აღნიშნული წინადადების თანაბრად.

3. **სანიტარული საკითხები**

ა. წყლის დაერთების უზრუნველყოფა - ობიექტის მიერთება არსებულ წყლის წყაროსთან, ინსტალაციის გაყინვის საწინააღმდეგო პირობების/მოთხოვნის უზრუნველყოფა.

ბ. ობიექტში წყლისა და კანალიზაციის შიდა სისტემის გაყვანა, ინსტალაციების დამონტაჟებასთან ერთად, რომლებიც ადაპტირებულია ზამთარში არსებულ გაყინვის პროცესებთან და ითვალისწინებს ავტომატურ დაცლას და ობიექტის დასუფთავებას.

გ. ობიექტიდან კანალიზაციის სისტემის მშენებლობა საკანალიზაციო წყლების მექანიკური გამწმენდი ნაგებობამდე და ასევე გამწმენდი ნაგებობის შიგნით. უსაფრთხო წვდომა ტექნიკური და მომსახურე პერსონალისთვის საკანალიზაციო წყლების გამწმენდ ნაგებობაზე, ასევე ტექნიკური მანქანისთვის უსაფრთხო ადგილის გათვალისწინება.

აღწერილი გადაწყვეტილებები მორგებულია ზემოაღნიშნულ კონცეფციაზე, თუმცა, კომპლექსური, ალტერნატიული წინადადებები, რომლებიც კარგად იმუშავებს რთულ საველე პირობებში, წარმოადგენს დამატებით უპირატესობას და იქნება გათვალისწინებული ისევე, როგორც ზემოთ აღწერილი მოთხოვნა.

4. **ენერგეტიკული/ელექტრო დარგი**

ა. ელექტრომომარაგების სისტემა, რომელიც დაფუძნებულია განახლებადი ენერგიის წყაროებზე (მაგ. ფოტოვოლტაიკური პანელები ან ქარის გენერატორები) ადგილობრივი ამინდის პირობების გათვალისწინებით (ქარი, მზის შუქის ხარისხი და ა.შ.).

ბ. შიდა მონტაჟი – სრული ელექტრო მონტაჟი ობიექტში განათების წერტილებით, ლოკალური უსაფრთხო ელექტროგადამცემი კარადა, ელექტრო გათბობა. **აღწერილი გადაწყვეტილებები მორგებულია ზემოაღნიშნულ კონცეფციაზე, თუმცა, კომპლექსური, ალტერნატიული წინადადებები, რომლებიც კარგად იმუშავებს რთულ საველე პირობებში, წარმოადგენს დამატებით უპირატესობას და იქნება გათვალისწინებული ისევე, როგორც ზემოთ აღწერილი მოთხოვნა.**

5. **ფუნქციონალი**

გათვალისწინებულია ნაგებობის სეზონური ექსპლუატაცია შესაბამისად ივარაუდება:

ა. წყალმომარაგების დაწყება ზაფხულში და მისი უზრუნველყოფა ზამთრის პირობებში.

ბ. ნალექის ამოღება პირველადი გაწმენდის ავზიდან.

გ. ბიოდეგრადირებადი ბიოლოგიური აქტივატორების შევსება კანალიზაციის მექანიკური გამწმენდი ნაგებობის გამოყენების პერიოდში – ტექნიკური პერიოდის განსაზღვრა წინადადებასთან ერთად

დ. ნალექის ამოღება დანალექი კამერებიდან – შენარჩუნების პერიოდის განსაზღვრასთან ერთად.

ზემოაღნიშნული პუნქტები წარმოადგენს ჩვენს კონცეფციას და შემოთავაზებულ მიდგომას პროექტის მიმართ. ამავდროულად, გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ იმედი გვაქვს, რომ პროექტის მპონაწილეები შემოქმედებითად მიუდგებიან საკითხს და მოვუწოდებთ მათ წარმოადგინონ სხვა, რაციონალური და პრაქტიკული გადაწყვეტილებები. თითოეული ალტერნატიული წინადადება, რომელიც მორგებულია კონკრეტულ რთულ რელიეფის პირობებზე, გათვალისწინებული იქნება და შეფასდება შემოთავაზებული კონცეფციისთან თანაბრად.

§3 კონკურსში მონაწილეობა

1. კონკურსის მონაწილე შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, რომელსაც კონკურსში მონაწილეობის დღისთვის არის არანაკლებ 18 წლის ასაკის, გააჩნია სრული ქმედუნარიანობა და აკმაყოფილებს კონკურსის რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა პირობებს. კერძოდ, კონკურსი განკუთვნილია ისეთი დარგების სტუდენტებისთვის, როგორებიცაა არქიტექტურა, დიზაინი და ინჟინერია.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ ორგანიზატორის თანამშრომლებს და კონკურსის ორგანიზების სფეროში მომუშავე სხვა პირებს, მათ შორის ზემოაღნიშნული თანამშრომლების ოჯახის წევრებს (მესამე ხარისხამდე).
3. კონკურსში მონაწილეობა ნიშნავს კონკურსის მონაწილის მიერ წინამდებარე წესებზე თანხმობას. მონაწილე იღებს ვალდებულებას დაიცვას მასში მითითებული წესები და ადასტურებს, რომ აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რაც უფლებას აძლევს მიიღოს მონაწილეობა კონკურსში.
4. კონკურსის სათანადო ორგანიზებისა და ჩატარების უზრუნველსაყოფად კერძოდ, კონკურსზე განაცხადების სისწორის შესაფასებლად და კონკურსში გამარჯვებულთა შერჩევის მიზნით, ორგანიზატორი ნიშნაბს საკონკურსო კომისიას (შემდგომში „კომისია"). საკონკურსო კომისია შედგება პირებისგან, რომლებიც მითითებულია პუნქტ 10-ში და ხასიათდებიან კონკურსის საგნის ცოდნით. საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის საბოლოო.

§4 კონკურსში მონაწილეობის პროცესი და პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის გაგზავნა (მაქს. 3 ადამიანი).
2. კონკურსის ფარგლებში მონაწილეები აგზავნიან ტუალეტის პროექტს - თითოეული დაპროექტებული ტუალეტის 4 ხელმოუწერელი/ნიშნების გარეშე გეგმა/ნახაზი/ფოტო/ვიზუალიზაცია (ნებისმიერი ფორმა) [2] რომელიც საუკეთესოდ წარმოაჩენს პროექტის უპირატესობებს. თითოეული ვიზუალიზაციის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 2 მბ-ს. თითოეულ მონაწილეს შეუძლია გაგზავნოს მაქსიმუმ 3 (სამი) პროექტი - გადამწყვეტია მიღების თარიღი.
3. პროექტის გაგზავნით კონკურსის მონაწილე(ები) ადასტურებს/ენ, რომ პროექტის შინაარსი მათი ავტორობისაა და არ არღვევს მესამე მხარის უფლებებს. ორგანიზატორი იტოვებს უფლებას შეაჩეროს მონაწილეობის მიღება ნებისმიერ ეტაპზე იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზატორი მიიღებს ინფორმაციას მონაწილის მიერ მესამე მხარის უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ.
4. კონკურსი არ გაითვალისწინებს პროექტებს, რომლებიც:
   ა. არღვევს საპატენტო, საავტორო უფლებებს, სავაჭრო საიდუმლოებებს და სხვა ინტელექტუალურ საკუთრებას,
   ბ. სრულად ან ნაწილობრივ არ ეხება კონკურსის საგანს,
   გ. არ აქვს არსებითი ღირებულება,
   დ. წარმოადგენს კონკურსის სხვა მონაწილეების <u>პასუხების</u> შინაარსის ასლს სრულიად ან ნაწილობრივ, შეიცავს შინაარსის ფრაგმენტებს სხვადასხვა წყაროებიდან და არის საკუთარი <u>პასუხის</u> ასლი.

5. კონკურსში მონაწილეობით მონაწილე/მონაწილეები ასევე თანხმდებიან პროექტზე საავტორო უფლებების უფასო, უპირობო და განუსაზღვრელ გადაცემაზე.
6. კონკურსის მსვლელობას ზედამხედველობის ორგანიზატორის თანამშრომლებისგან შემდგარი კომისია.
7. კომისის სხდომები არ არის საჯარო. ოქმი მზადდება კომისიის სხდომაზე.

§5 დაჯილდოვება და გამარჯვებულების შერჩევის წესები

1. კონკურსში მონაწილეთაგან კომისია შეარჩევს ერთ გამარჯვებულ პროექტს. მთავარი პრიზი შეადგენს 5000 PLN (ხუთი ათასი PLN).
2. გამარჯვებული პროექტის განხორციელება განიხილება პირველ რიგში მის ავტორთან.
3. პრიზს თან ახლავს დამატებითი ფულადი ანაზღაურება, რომელიც განკუთვნილია პრიზებზე გადასახადის დასაფარად ამ პრიზის ღირებულებაზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის ექვივალენტის ოდენობით.
4. კონკურსის მონაწილეთა მიერ მიღებული პრიზები წარმოადგენს კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებულ შემოსავალს პირადი საშემოსავლო გადასახადის შესახებ 1991 წლის 26 ივლისის კანონის მუხ. 30 პუნქ. 1(2) შესაბამისად (სრული ტექსტი, 2022 წლის საკანონმდებლო მაცნე, პუნქტი 2647, შემდგომი ცვლილებებით) (შემდგომში „პდოფ აქტი"). შემთხვევაში თუ კონკურსის მონაწილე მოიპოვებს 5.1 პუნქტში მითითებულ ერთ-ერთ პრიზს, ფულადი ჯილდო გადაეცემა 5.2 პუნქტში მითითებულ გადასახადის დასაფარად. კონკურსის ორგანიზატორი გამოთვლის და შეიტანს გადასახადს შესაბამის საგადასახადო სამსახურში (პერსონალური საშემოსავლო გადასახადის შესახებ კანონის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად). პრიზის აღებამდე კონკურსის მონაწილე იღებს ვალდებულებას კონკურსის ორგანიზატორს მიაწოდოს სრული და სწორი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია გადასახადთან დაკავშირებული დეკლარაციის შესავსებად. ამ მონაცემების მითითებულ ვადაში არ წარდგენა აძლევს ორგანიზატორს უფლებას უარი თქვას პრიზის გაცემაზე.
5. კონკურსში გამარჯვებულის არჩევაზე გავლენას მოახდენს არსებითი, უნიკალური და კრეატიული პროექტი, რომლის განხორციელებაც შესაძლებელი იქნება მათ შორის ფინანსური თვალსაზრისით.
6. გამარჯვებული პროექტის შესახებ ინფორმაცია საჯაროა - განთავსდება ორგანიზატორის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში 2025 წლის 27 იანვარს.
7. ორგანიზატორი არ არის პასუხისმგებელი კონკურსის მონაწილის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე, რომლებიც არ შეესაბამება სიმართლეს.
8. ორგანიზატორი არ არის პასუხისმგებელი მონაწილის მიზეზის გამო პრიზის გადაცემის შეუძლებლობაზე, კერძოდ, არააქტიური ელექტრონული ფოსტის მისამართის ან ტელეფონის ნომრის გამო.

§6 საჩივრები

1. კონკურსის მიმდინარეობასთან დაკავშირებით საჩივრები შეიძლება წარდგენილი იყოს ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: **projekt@icadfoundation.org** აღმოჩენილი დარღვევიდან 14 დღის განმავლობაში.

2. §6 პუნქ. 1 თანახმად შესაბამისი ვადის დარღვევით გაგზავნილი საჩივრები არ განიხილება.
3. საჩივრის წარდგენის უფლება აქვთ მხოლოდ კონკურსის მონაწილეებს.
4. კომისია განიხილავს საჩივარს მის მიწოდების დღიდან 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღის ვადაში.
5. კომისია საჩივრებს განიხილავს წესდების საფუძველზე.
6. კომისიის გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით საბოლოოა. გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება მონაწილეს საჩივრის განხილვის შემდეგ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომლიდანაც იყო წარდგენილი საჩივარი.

§7 პირადი მონაცემების დაცვა

1. კონკურსის მონაწილეთა პერსონალური მონაცემები დამუშავდება კონკურსის ჩატარების, გამარჯვებულების არჩევისა და ჯილდოს გადაცემის, ანგარიშგების მომზადების მიზნით – მონაწილე თანახმაა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.
2. კონკურსის მონაწილეთა პერსონალური მონაცემები გამოყენებული იქნება პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ 1997 წლის 29 აგვისტოს კანონის განსაზღვრული პირობების შესაბამისად (2014 წლის კანონთა ჟურნალი, პუნქტი 1182, შემდგომი შესწორებებით). პერსონალური მონაცემების ადმინისტრატორი არის ორგანიზატორი.
3. პერსონალური მონაცემების მიწოდება ნებაყოფლობითია, ხოლო მათი არ მიწოდება არ იძლევა კონკურსში მონაწილეობის უფლებას. პერსონალურ მონაცემების მიმწოდებელ პირს აქვს მის პერსონალურ მონაცემებზე წვდომისა და მისი შესწორების უფლება.

§8 სარეზოლუციო ნაწილი

1. წინამდებარე წესდება შედის ძალაში 2024 წლის 15 დეკემბრიდან და მოქმედებს კონკურსის დასრულებამდე ანუ 2025 წლის 27 იანვრამდე, მე-6 პარაგრაფის პუნქ. 4 დებულებების შესაბამისად. წესდება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.icadfoundation.org
2. დებულებით დაურეგულირებელ საკითხებში გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის დებულებები.
3. კონკურსში მონაწილეობამდე მონაწილე ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე დებულებებს და გამოთქვას თანხმობა. წესდების გაცნობაზე ასევე თანხმობაზე უარის განცხადება წარმნოადგენს კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმას.
4. კონკურსის ორგანიზატორსა და მის მონაწილეებს შორის ნებისმიერ დავას გადაწყვეტს საყოველთაო სასამართლოს იურისდიქცია სამოქალაქო კოდექსის დებულებების შესაბამისად.